საქართველოს რესპუბლიკა

ᲤᲔᲚᲘᲤᲐᲓᲘ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲘ

მთავრობის მოამბე

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 110 | შაბათი, 7 დეკემბერი, 1918 წ. | № 110

საქართველოს რესპუბლიკის ... თავმჯდომარე

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ᲗᲔᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲝᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲣᲥᲛᲓᲕᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲒᲘᲚᲔᲗᲔᲒᲘᲡᲐ.

შეიძინეთ ბილეთები და მით, პირად საქმესთან ერთად, დააყენეთ მკვიდრ ნიადაგზე ერის წინმსვლელობისათვის ესოდენ საჭირონი —უნივერსიტეტი და თეატრი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲝᲞᲔᲠᲐ.

შაბათს, 7 დეკემბერს კანშინის ბენეფისი. შულგინას, შვამბერგის, კანშინის, პალიაევის, მოლჩანოვისა და ისეცკის მონაწილეობით

ᲜᲔᲠᲝᲜᲘ

დასაწყისი საღ. 7 ნახევარ საათზე. კვირას, დეკემბრის 8 დილით, შვამბერგის, მარკოვის, ისეცკის და მოლჩანოვის მონაწილეობით „ვიდოლკა“. საღამოს—სანბენედას, ორდას, ხალიპასის მონაწილეობით „ლაკმე“. სამშაბათს, დეკემბრის 10 აღუშკის, კანშინის, ორდას და ისეცკის მონაწილეობით „აიდა“. ოთხშაბათს, დეკემბრის 11 სანბენედას, ხალიპასის და ნიკოლსკის მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები“.

1128 1—1 ოპერის წარმომადგენელი ს. ეფლახოვი.

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲡᲐᲔᲠᲝᲖᲝ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲐ

ამით აცხადებს, რომ სიღნაღის მაზრაში ასარჩევად

ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲜᲘ

შემდეგს საზოგადოებრივ მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოსაწყობად საჭირო ადგილები შედაგენს სახელმწიფო საკუთრებას.

2. ხსენებულ აბანოებისა, წყაროებისა და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა მიენდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს საქმიო უწყებასთან შეთანხმებით.

3. მიწათ-მოქმედების მინისტრის მიენდოს ამრთვე: ა) მიღება სახელმწიფო კუთვნილებად ჩამორთმეული მადნეული აბანოებისა, წყლებისა, ტალახებისა და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა და ბ) განსაზღვრა იმ სასყდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოებისა, წყაროებისა, ტალახებისა და მის გარშემო მდებარე ადგილების პატრონებს შენობებისა, ადგილებისა და მათ მიერ გაკეთებული მოწყობილობის საფასურად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად,—მომქმედი ნორმების მიუხედავად.

4. კურორტების მოვლა-პატრონობა მიენდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საქმიო უწყებასთან შეთანხმებით.

5. ყოველივე ხელშეკრულება, რომლითაც იჯარით გაცემული აღმოჩნდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

1918 წ. ნოემბერის 29.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲡᲐᲔᲠᲝᲖᲝ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲐ

ამით აცხადებს, რომ სიღნაღის მაზრაში ასარჩევად

ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲜᲘ

შემდეგს საზოგადოებრივ მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოსაწყობად საჭირო ადგილები შედაგენს სახელმწიფო საკუთრებას.

2. ხსენებულ აბანოებისა, წყაროებისა და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა მიენდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს საქმიო უწყებასთან შეთანხმებით.

3. მიწათ-მოქმედების მინისტრის მიენდოს ამრთვე: ა) მიღება სახელმწიფო კუთვნილებად ჩამორთმეული მადნეული აბანოებისა, წყლებისა, ტალახებისა და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა და ბ) განსაზღვრა იმ სასყდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოებისა, წყაროებისა, ტალახებისა და მის გარშემო მდებარე ადგილების პატრონებს შენობებისა, ადგილებისა და მათ მიერ გაკეთებული მოწყობილობის საფასურად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად,—მომქმედი ნორმების მიუხედავად.

4. კურორტების მოვლა-პატრონობა მიენდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საქმიო უწყებასთან შეთანხმებით.

5. ყოველივე ხელშეკრულება, რომლითაც იჯარით გაცემული აღმოჩნდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

1918 წ. ნოემბერის 29.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ᲡᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

იწვევს ორ ექიმს აბაშაში და ნაოლალევში

სამუშაოთ პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამგზავრო ხარჯები. მსურველთ ვსთხოვთ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საერობო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curiculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეკომენდაციების დამატებით.

1054 7—6 სენაკის სამაზრო გამგეობა,

ᲡᲐᲜᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რეზოლუციის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ № 55-5 ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

ᲛᲝᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს ზენიშნულ თანამდებობაზე შეუძლიანთ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: ახალ-სენაკი, სამაზრო ერობის გამგეობას.

1093 7—3 სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲘ

შაბათს, ქრისტეშობისთვის 7 1918 წ. ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ სასარგებლოთ გაიმართება

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

სიტყვა, მუსიკა, ცეკვა: 1) გალ. ტაბიძე—„პოეზიის გამართლება“, 2) შალ. დადიანი—„რუსეთი საქართველოს მფარველობის ქვეშ“, მოხსენება—შარე; 3) ა. ოჰანეზაშვილი, აღმოსავლეთის მუსიკის მაესტრო—ჭიანური, 4) მ. დეკაძე—თარი, მაჯური, 5) ალ. მაისურაძის ეროვნულ გუნდის ქალთა ტრიო, 6) „პარტიული ოთარბეგი“, ახალი შარი „ლალატი“-დან, ზ. ჭიჭინაძის, 7) ცეკვა შეგიბრებით (ლეკური, თარაქამა და სხ.). მონაწილენი (ან-ბანით): ანდრონიკაშვილი ელო, ახვლედიანისა დ., ბერიძე თ., გრიშაშვილი ი., დადიანი შ., დეკაძე მ., მარიჯანი, კირვალიძე გ., საათაშვილი ივ., ტაბიძე გალ., ფაშალიშვილი ს., ჭეჭელაშვილი გ., შინკუნელი გ. და სხ. დასაწყისი საღამოს 7 ს., ბილეთები იყიდება ქართ. კლუბის კასაში. 1120 1—1

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ,

(გარდა სამხრეთ-შტოისა სადგურ ნავთლუღიდან დაწყებული) და ფოთის ნავთსადგურისა და მათი მიდამოების გენერალ-გუბერნატორისაგან.

I

(გამოცემულია გუბერნიათა საერთო დაწესებულებათა მე-23 მუხლისა დამატების მე 19 მუხლის მე-7 პუნქტის ძალით)

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ დღიდან დამნაშავენი ქვემოაღნიშნულ მოქმედებაში, რომელიც ჩადენილი იქნება რკინის გზების და ფოთის ნავთსადგურის მიდამოებში მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში სამხედრო სასამართლოს წინაშე სამხედრო დროის კანონების მასზედ გავრცელებით. მგერთამეობა, მუხლები: 372—381², 353—354 მოხელეთა უკანონო მოქმედებანი მათდამი თანამდებობითი შესანახად და განსაკუთებულ პიბარებულ ქონებათა შესახებ მუხლები: 1644—1654 და აგრეთვე სამომრიგებელო ჯურდობა—წესდების 169—172 მუხლები.

II.

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გუბერნიის საერთო დაწესებულებათა მე-23 მუხლის დამატების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის (ტ. 11 კან. კრებ. 1892 წ. გამოც.) ძალით დღიდან საქმეები საგენერალ-გუბერნატორობაში ჩადენილ იმ პოროტმოქმედებათა შესახებ, რომელიც საზოგადო წესით სასამართლოს ექვემდებარება და რომელთათვისაც დანიშნული ისეთი სასჯელი, რომელიც არ აღემატება ზემოხსენებულ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტში ნაჩვენებს, ე. ი. სამითვის სატუსაღო ან ციხე ან სამ ათასი მანეთი ჯარიმა, გამოიკითხა მომრიგებელ მოსამართლეთა ქვემდებარეობისაგან და ასეთ საქმეებს გადაეწყვეტ მე თითონ საადმინისტრაციო წესით.

გენერალ-გუბერნატორი გენერალ-მაიორი ყარალაშვილი.

2 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

სამკურნალო მადნეულ აბანოების, წყლების და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა.

1. ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოსაწყობად საჭირო ადგილები შედაგენს სახელმწიფო საკუთრებას.

2. ხსენებულ აბანოებისა, წყაროებისა და ტალახების საზოგადოებრივი მნიშვნელობის განსაზღვრა მიენდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს საქმიო უწყებასთან შეთანხმებით.

3. მიწათ-მოქმედების მინისტრის მიენდოს ამრთვე: ა) მიღება სახელმწიფო კუთვნილებად ჩამორთმეული მადნეული აბანოებისა, წყლებისა, ტალახებისა და მათ გარშემო მდებარე ადგილებისა და ბ) განსაზღვრა იმ სასყდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოებისა, წყაროებისა, ტალახებისა და მის გარშემო მდებარე ადგილების პატრონებს შენობებისა, ადგილებისა და მათ მიერ გაკეთებული მოწყობილობის საფასურად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად,—მომქმედი ნორმების მიუხედავად.

4. კურორტების მოვლა-პატრონობა მიენდოს მიწათ-მოქმედების სამინისტროს საქმიო უწყებასთან შეთანხმებით.

5. ყოველივე ხელშეკრულება, რომლითაც იჯარით გაცემული აღმოჩნდება საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო მადნეული აბანოები, წყლები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე ადგილები, გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

6. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა საქართველოს პარლამენტის მიერ.

1918 წ. ნოემბერის 29.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ᲒᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მთავრობის საქმეთა მმართველობისა.

30 ნოემბერი, 1918 წ.

№ 51.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის ეკზეკუტორის თანამდებობის ასრულება დაევალოს ამავე მმართველობის ბუჰჰალტერს ალექსანდრე ნიკიტის ძეს უსტინოვს ამა წლის პირველ დეკემბრიდან იმ ჯამაგირში, რომელიც ეხლა მას აქვს შტატების თანახმად.

2. მმართველობის მოლარეობა დაევალოს ამავე მმართველობის საქმის მწარმოებელ დიმიტრი იღიას ძე დიდებულიძეს ამა წლის პირველ დეკემბრიდან იმ ჯამაგირით, რომელიც მას აქვს შტატების თანახმად.

3. მმართველობის საქმეთა მწარმოებლის თანაშემწე კონსტანტინე ტარასის ძე ვარფოლომეევი და ეკზეკუტორისაგან გრიგორლის ძე ჩიმიშკიანი დატოვებულ იქმნას შტატს გარეშე ამა წლის პირველ დეკემბრიდან.

30 ნოემბერი, 1918 წ.

№ 52.

1. ნაფიცი ვექილი სერგი დავითის ძე ჯაფარიძე განთავისუფლებულ იქნეს, თანახმად მისი თხოვნისა მთავრობის საქმეთა მმართველის თანამდებობის ასრულებიდან ამა წლის პირველ დეკემბრიდან და მოწვეულ იქნეს ამა დღიდან მთავრობის იურისკონსულტათ.

2. ნაფიცი ვექილი კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძე დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მმართველად ამა წლის პირველ დეკემბრიდან.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

სახალხო განათლების მინისტრისა.

28 ნოემბერი, 1918 წ.

№ 2.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლებლათათვის სახალწლო დღესასწაულები დაიწყოს მიმდინარე წლის 30 დეკემბერს და გათავდეს 1819 წლის 12 იანვარს ახალი სტილით.

სახალხო განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ფოსტა-ტელეგრაფის ნაწილისა.

29 ნოემბერი, 1918 წ.

№ 267.

ინიშნებიან: რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სამხედრო სამინისტროსა, ტელეფონთა, ტელეგრაფთა და რადიოტელეგრაფთა უროი-ერთ შორის დამოკიდებულებათა მსახური ბართლომე სურგულაძე—ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსთან არსებულ ტეხნიკურ განყოფილების გამგეთ და ისეც პირვანდელ თანამდებობაზე დატოვებით და ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მესამე ხარისხის მოხელე (ჩინოსანი) ბიკტორ შალიანი—ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწის თანამდებობის

ალმასრულებლათ 26 ნოემბრიდან ამა მიმდინარე წლისა.

შინაგან საქმეთა მინისტრი
ნ. რამიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

30 ნოემბერი, 1918 წ.
№ 52.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან და სამსახურიდანაც თანახმად თავისი თხოვნისა: 1) ტფილისის საგუბერნიო № 1 საპარობილეს უფროსი როტმისტერი შუმერიძე ამა ნოემბრის 26-დან.

დროებით განწესებულია: ტფილისის საგუბერნიო № 1 საპყრობილეს უფროსის თანამდებობის ალმასრულებლათ გორის სამაზრო საპყრობილეს უფროსი ისაკ კალანდარიშვილი ამა ნოემბრის 27-დან.

იუსტიციის მინისტრი
შ. ალექსი-მესხიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსი.

25 ნოემბერი, 1918 წ.
№ 92.

ინიშნება: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის სახელმწიფო ბუჯეტო-სახაზინო განყოფილების ბუჰალტრის უმცროს თანაშემწედ ბარბალე ვასილის ასული კანდელაკი ამა წლის 20 ოქტომბრიდან.

27 ნოემბერი, 1918 წ.
№ 93.

დანიშნულ იქმნეს: ლეჩხუმის მაზრის საქციზო ინსპექტორის უმცროს თანაშემწედ სერგეი სოფრომის ძე გაგოშიძე 1918 წ. 25 ნოემბრიდან.

27 ნოემბერი, 1918 წ.
№ 94.

დანიშნულ იქმნენ: აქციზის ინსპექტორის უმცროს თანაშემწეებათ: ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ალექსი-მესხიშვილი სიღნაღის მაზრაში და ყოფილი მეორე ოლქის ზედამკვლდარი (სადმთვრწრიკე) ივანეს რომანის ძე ლემპერიძე სენაკის მაზრაში ორივე 21 ნოემბრიდან.

30 ნოემბერი, 1918 წ.
№ 95.

დანიშნულ იქმნენ: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების ბუჰალტრის უმცროსი თანაშემწე ნიკოლოზ დგებუაძე და იმავე სამინისტროს კანცელარიის რეგისტრატორი—ვიქტორ ეზნაძე საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილებაში პირველი—ბუჰალტრის უფროს თანაშემწეთ, ხოლო მეორე—ბუჰალტრის უმცროს თანაშემწეთ ამა წლის 25 ნოემბრიდან.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში.

ნავთის გადმოჭაჩვის საკითხი.

საქართველოს მთავრობამ ბაქოს ნება დართო ჩვენს ტერიტორიაზე ბათომში ნავთის გადაჭაჩვისა იმ პირობით თუ ბაქო, საქართველოს საჭირო ნავთს მისცემს.

გარეშე საქმეთა სამინისტროში.

ბონების საკითხი.

სომეხთა წარმომადგენლობა გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტა გაუგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის, გრძელდება ხელშეკრულობა ბონების შესახებ. ამავე დროს ბონები იბეჭდება და ნაწილდება საქართველოსა და ადერბეიჯანს შორის ვინაიდან სომეხთა მთავრობამ ბონების დამატებით გამოშვებაში მონაწილეობა მიიღებას საკითხი დღევანდელ დღეს გადასწყვიტა, გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა ტფილისის სახელმწიფო ბანკმა ხელი არ გადასცეს სომხეთის ხელით ბონები და იგი გადმომცეს მე მაშინვე ვრცელ ხელშეკრულება სახელოდ დადებულ.

საყორნო მიწები.

გარეშე საქმეთა სამინისტროს იუსტიციის სამინისტროს მისწერა გადაეცეს ჯაბადიანს ერევნის ყოფილ საყორნო ოლქის საქმეები, გეგმები და ინსტრუმენტები.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

ლტოლვილთა შესახებ.

შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა მინისტრის რწმუნებული ლტოლვილთა საქმეზე ა. ს. ლორთქიფანიძე და ვრცელი მოხსენება წარუდგინა ახალციხის და ახალქალაქის ლტოლვილთა და თვის მოგზაურობიდან [დაბრუნების შესახებ ამ მაზრებში. ბ. ლორთქიფანიძემ გადასცა მინისტრს მოხსენება დრ. გენერალ-გუბერნატორის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენ.-მ. მაყაშვილისა იმ ზომების შესახებ, რომელიც უნდა იქმნენ მიღებულნი საქართველოს ჯარების შესელის პირველ დღიდანვე ამ მაზრებში. ეს ზომები შეიხება ადგილობრივ ადმინისტრაციის ორგანიზაციის საკითხს, ჯარებისა და ადგილობრივ მცხოვრებთა უზრუნველყოფა საკვებ მასალით და ლტოლვილთა საქმის მოწყობას. ამასთან ერთათ მინისტრის რწმუნებულმა სთხოვა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ეხლავე მომარაგების კომიტეტიდან, როგორც ლტოლვილთათვის, ისე დაზარალებულთა დასარგებლათ დაეთმოს: საცხარი 2 ათასი ფუთი, ფუფუნია 1000 ც. ტყავის ქურქები 1000 ც. და ბაბთა წყალი 1000 ც. მინისტრმა ბრძანება გასცა, რომ ეს ზეუამდგომლობა ეხლავე იქნებს დაკმაყოფილებული.

სამხედრო სამინისტროში

დეზერტირების შეპყრობა.

სამხედრო მინისტრის ამხანაგმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ პირველ ცხრასთან პოლკის უფროსის მოხსენებით, ესადარნმა, რომელიც იყო გაგზავნილი დეზერტირების გაქცეული ჯარისკაცები. სამხედრო მინისტრის ამხანაგი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს გასცეს განკარგულება, რომ დეზერტირების პოვნით ყოველ კომისარმა გაუწიოს დახმარება ესკადრონის უფროსს, რათა შეპყრობილნი ჯარისკაცნი ტფილისს იქნენ გადმოყვანილნი.

გამოძიების შედეგი.

სამხედრო მინისტრის ამხანაგმა აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დაპატიმრებულ პრაპორშჩიკთა ძიძიგურის, ჩიჩუას და ჩიქოვანის საქმის გაძიებამ ვერაფერთარი გამამტყუნებელი მასალა ვერ აღმოაჩინა მათ პასუხისგებაში მისაცემათ, ასე რომ სამხედრო სამინისტროს მხრივ არაა დაბრკოლება მათ განსათავისუფლებლათ.

გზათა სამინისტროში.

საექიმო-სასანიტარო უწყებაში.

გზათა მინისტრმა გასცა ბრძანება საქართველოს რკინის გზის საექიმო-სასანიტარო უწყებაში მიღებულ და შტატ გარეშე დარჩენილთა შესახებ. სულ დარეგისტრირებულია სამსახურში 27 ექიმი და 6 ექიმი-ქალი-კანდიდატი. ექიმების თანაშემწენი 47, ბებია-ქალები და ექიმთა თანაშემწე ქალები 14, მოწყალე დები 15 აფთიაქში 13, საავადმყოფო კანტორაში 7, საექიმო-სასანიტარო ნაწილის უფროსის კანტორაში 3, საავადმყოფოს დაბალი მოსამსახურეები 107. თანახმად მინისტრის ბრძანებისა 1919 წლის პირველ იანვრიდან უნდა მოხდეს ახალი შემცირება შტატისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბალ მოსამსახურეთა რიცხვს.

ტერმინების გამომუშავება.

გზათა სამინისტროს სატერმინოლოგიო კომისიამ, თავის უკანასკნელ კრებაზე, რომელზედაც დაესწრნენ წარმომადგენლნი გზათა სამართველოთა ნაწილების, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი, ექიმი ვ. ლომპაშიძე და სხვ. განიხილა სადაო ტერმინები და საბოლოოდ შეიმუშავა სატერმინოლოგიო სახელმძღვანელო რკინის გზათა უწყებისათვის. ყველა ეს მასალები წარედგინა კომისიის თავმჯდომარეს გზათა სამინისტროს საერთო სამეთვალ მართველს ფიცხელაურს, რომელმაც მიანდო კომისიის მდივანს ბ. ახრიშიძის ამ მასალების ბეჭდვა. სულ განხილულ და მოწონებულია 1260 ტერმინი.

მოძრაობის დაწყება.

5 დეკემბრიდან დაიწყო მოძრაობა ჯავშნიან მატარებელ № 274 სად. ნავთლუხიდან თელავამდე.

მოძრაობის უფროსმა ბ. აბელაშვილმა ბრძანება გასცა ლიანდაგის უფროსთა სახელზე, რომ კახეთის რკინის გზის ლიანდაგზე ყველა სადგურებმა დაიწყონ დღემდე შეჩერებული ყოველგვარ საქონლის მიღება.

ლტოლვილთათვის.

გზათა სამინისტროს განკარგულებით ახალქალაქის მაზრის ლტოლვილთა წარმომადგენელს ს. პაპანაშვილს და მ. პატუაშვილს და ეთმოთ 1 ვაგონი სადგურ საგარეჯოდან ლტოლვილთა ბაბაქის გადასახიდავათ.

გზათა სამინისტროს ცნობა, რომ ტფილისიდან კარაკლისამდე სომეხ ლტოლვილთა გადასაყვანათ დაინიშნა მატარებელი ერთი ორთქლმავალით და 40 ვაგონით. ეს მატარებელი უნდა წავიდეს სად. კარაკლისამდე საერთო საკმარისი ტარიფით. სადაბოყრო ჩხრეკა და სხვა ფორმალური მხრივები თანახმად მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებისა უნდა მოხდეს სად. ტფილისში.

ახალციხე—ახალქალაქი

ჩვენი ჯარის შესვლა.

სამხედრო მინისტრის სახელზე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენ.-გუბერნატორისგან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

4 დეკემბერს 14 საათზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარი შევიდა ახალციხეში. მცხოვრებნი დიდი სიხარულით და ენტუზიაზმით შეეგებნა ჯარს. ულოცავდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს. ყველა სახელმწიფოს სადგომი და სახლები დაზიანებული და გაფუჭებულია. ჯარი დროებით ცერძო სახლებში სდგას. დაინიშნა კომისია ზარალის გამოსარკვევათ. მრავალი სამხედრო მასალა და ყუმბარა გადაყრილია მდინარეში. ხვალიდან შეუდგებიან მათ ამოღებას. ყველა ერის წარმომადგენელნი ერთგულობის ფიცს სდებენ საქართველოს რესპუბლიკის წინაშე. გენერალ-მაიორი მაყაშვილი.

5 დეკემბერს დილის 10 საათზე ჩვენმა ჯარმა დაიჭირა ახალქალაქი. მცხოვრებნი ჰურ-მარილით შეგებებდნენ. ყველგან ცარცვა გლეჯა იყო. ამის წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები. გავგზავნეთ რაზმები. მცხოვრებლებს განეუცხადეთ, რომ თავის ადგილებზე დაბრუნდნენ. ოსმალებს დაუწვავთ ოფიცერთა ერთი სადგომი, სადაც ხორბალი იყო. ჯარის სულიერი განწყობილება საუკეთესოა. გენერალი მაყაშვილი.

პარლამენტში

დეკემბრის 6-ის სხდომა.

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

პარლამენტი იხილავს სახელმწიფო კონტროლიორის დებულების, სარევიზიო წესდების და შტატების სახელოო ტექსტს.

მომხსენებელია სარედაქციო კომისიის თავმჯდომარე რაჟდენიძე. პარლამენტი იღებს სარედაქციო კომისიის ყველა ცვლილებებს.

განიხილა კანონ-პროექტისა ძვირფას ქულტურის მამულებში პროფუქტების რეკვიზიციის შესახებ მთავრობის მოთხოვნილების თანახმად პარლამენტმა შემდეგისთვის გადასდო.

მისალმება.

სიღნაღი, 3 დეკემბერი. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და მთავრობის თავმჯდომარეს ეორდანას.

სიღნაღის ქალაქის ხმოსანთა კრება ესალმება საქართველოს პარლამენტს და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას ნახევარი წლის ენერგიულ და დაუღალავ მუშაობისთვის დამოუკიდებელ დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებისთვის. გისურვებთ შემდეგში ნაყოფიერ მუშაობას. საბჭოს თავმჯდომარე.

ტფილისი, 5 დეკემბერი. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავმჯდომარეს.

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა პირველი ყრილობა ესალმება საქართველოს დემოკრატიულ და რევოლიუციონურ მთავრობას და უცხადებს მას, რომ ტფილისის სამაზრო ერობა მზათ არის მთელი თავისი ძალღონით ემსახუროს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებაში დემოკრატიის საბოლოო მიზნის მისაღწევათ. თავმჯდომარე ლ. მამულაშვილი. მდივანი ნ. გვანცაძე.

სოჩი, 3 დეკემბერი. მთავრობის თავმჯდომარემ სოჩიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: სოჭის ოლქის გლეხთა ყრილობა სალამს უძღვნის მთავრობას და მის ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც სავსებით შეეფერება დემოკრატიულ იდეებს. მთავრობის სახით სალამს ეუძღვნით საქართველოს დემოკრატიას, ყრილობის თავმჯდომარე ჯანაშია. თავმჯდომარეს ამხანაგები: ვ. ვასილიევი, ზ. პივოვაროვი, მდივანი მ. ნემჩუკი და კოროლევი.

ერობა

საქართველოში ერობის შემომღებ მთავარი სანინსტრუქტორის დავალებით თიანეთის მაზრაში დაინიშნა განსაკუთრებული ინსტრუქტორი ი. ჩხეიძე, რომელსაც დავალებული აქვს ყოველივე ზომები მიიღოს იმისთვის, რომ ამ მაზრაში რაც შეიძლება დაჩქარებით შემოღებულ იქნეს ერობა. საჭიროა ადგილობრივმა საერობო ორგანიზაციებმა და ადმინისტრაციამ სათანადო დახმარება აღმოუჩინონ სსენებულ ინსტრუქტორს.

ქუთაისის საერობო გამგეობის თავმჯდომარე კ. სულაქველიძე სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს უბოძოს ცნობები მომარაგების კომისიის ჩარნის გზის საიმშენებლო მასალის შესახებ, როგორც მაგალითად რელსები, ვაგონები და ორთქლმავალები.

ადერგეიჯანი

ადერბეიჯანის დამოუკიდებლობის მოსპობა.

სომეხთა ეროვნულ საბჭოს საქართველოში ბაქოდან ცნობა მიუღია ინგლისის გენერალ ტომსონის მიერ მიცემულ განმარტების შესახებ. გენერალ ტომსონს გამოუცხადებია, რომ შეთანხმებული სახელმწიფოები აუმტკიცებენ ადერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, რის მაგივრად უნდა დაარსდეს ადერბეიჯანის ავტონომიური ოლქი რუსეთის რესპუბლიკის კონფედერაციისა. ადერბეიჯანის ხელმძღვანელათ უნდა იყოს ადერბეიჯანის ეროვნული საბჭო, რომელსაც შედგენენ 113 დეპუტატი, მათგან 60 მუსულმანი, 40 სომეხი, 12 რუსი, და 1 ებრაელი. ადერბეიჯანის მთავრობა უნდა შესდგეს 10 მინისტრისაგან, მათგან 5 მინისტრი მუსულმანი უნდა იყოს, 3 სომეხი და 2 რუსი. ადერბეიჯანის მთავრობას პარტო თავის შინაგან საქმეების წარმოება ეკუთვნის და გარე საქმეების წარმოებაში ოფიციალურ რუსეთს უნდა დაემორჩილოს. ეს ცნობები მიუღია ბერეთვე სომხურ გაზეთ «აზხატავორის» რედაქციასაც.

ბ. ჯაფაროვის გამგზავრება.

ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი მ. ბ. ჯაფაროვი ბაქოში გამგზავრა.

ცნობა მოსკოვიდან.

რუსეთის სამხედრო ბანაკთა გამოცხადება.

სრულიად რუსეთის ც. ა. კ. დადგენილება მუშათა და გლეხთა თავდაცვის მოსაწყობათ. საბჭოთა რესპუბლიკას საფრთხე მოელის საქვეყნო იმპერიალიზმის შეურიგებელ ძალთაგან, (დამახინჯებულია). ს. რ. ც. ა. კ. ამოწყობს, რომ აუცილებელია გაასკეცდეს მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მეზღვაურთა ენერგია მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაცვის საქმეში. ს. რ. ც. ა. კომიტეტის 1918 წ. 2 სექტემბრის დეკრეტის ძალით სახელთა რესპუბლიკა სამხედრო ბანაკათ გამოცხადდა. ეს დადგენილება დღეს უნდა გატარდეს ცხოვრებაში. აუცილებელია ჯარის ყოველმხრივ უზრუნველყოფა. ამისთვის კი საჭიროა მუშაობის გაძლიერება. აუცილებელია ჯარის, ფლოტის, მოსკოვის, პეტროგრადის და სხვა ცენტრების უზრუნველყოფა სურსათით. ამიტომ საჭიროა ვაიძულოთ ყველა სასურსათო და რკინის გზის ორგანო ცენტრში და ადგილობრივ იმუშაონ მეტი ენერგიით და სინდისიერათ.

დროებითი ზავი.

პეტლიურს და გერმანიის დეპუტატთა მთავარ სამშოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დროებით ზავის ხელშეკრულებას.

ლატვიშ-მსროლელთა შესახებ.

კომუნისტურ პარტიების და ლატვიშ-მსროლელთა კონფერენციაზე სვერდლოვმა განაცხადა, რომ წითელი ლატვიის ბედი რუსეთის და საერთაშორისო რევოლიუციაზეა დამოკიდებული, ამიტომ შეუძლებელია ლატვიშ-მსროლელთა ლატვიაში გაგზავნა იმღა, როდესაც იწყება ბრძოლა იმპერიალისტურ შეთანხმების სახელმწიფოებთან და მოუწოდა განაგრძონ ბრძოლა სრული გამარჯვების მოპოვებამდე.

იასის თათბირის შესახებ.

იასის გაზეთი «ვიტორული» რუსეთის დელეგატებზე და იასში მომხდარ თათბირზე სწერს: «ჩამოვიდნენ სამპირატორო რუსეთის ძველი მოღვაწენი. «გაზეთ» ვიტორულმა მოითავსა მოკავშირეთა დამოკიდების განცხადება: «მოკავშირეთა მდგომარეობა მძიმეა. მოკავშირეებს არ შეუძლიათ არ გათვალისწინონ საერთო რევოლიუციონური მოძრაობა და ანგარიში არ გაუწიონ თავიანთ ჯარის სულიერ განწყობილებას.». ამ განცხადების ავტორისაგე თხოვნით, გაზეთი მის ვინაობას არ აქვეყნებს.

უცხოელთა ჩარევის მოთხოვნა.

ბურჟუაზიული გაზეთი მოითხოვს მოკავშირეთა დახმარებას, რადგან უკრაინა უცხოელთა დაუხმარებლათ ბოლშევიკების ხელში ჩავარდება.

კომენდანტის ბრძანება.

იუნკერიდან მეიდეთ მაკეევის კომენდანტის ბრძანება, სადაც ის გაკარგულებას იძლევა დახვრიტონ და დაატყვევონ მეშები. დაჭრილი მუშები ჩამოახრჩონ მთავარ ქუჩაში და სამი დღის განმავლობაში არ ჩამოხსნან მათი გვამი.

კრიზისი.

სათბომ მასალის სიმცირის გამო მრეწველობა შეჩერდა. მრავალი მუშა უსაქმოთ დარჩა. სადგურებზე დიდძალი გასაკეთებელი გაუსწორებელი ორთქლმავალი და ვაგონი სდგას.

ინვალიდური პრესის ცნობა.

(საქართვ. დეპუტათა საიგენტო)

შეთანხმება.

მოკავშირენი ყველაფერში შეთანხმდნენ. მოკავშირეთა კონფერენციაზე ერთხმად დადგენეს მოითხოვონ ექსკაიზერის და კრონპრინცის გადმოცემა, რადგან მათ ომის დროს საერთაშორისო უფლება დაარღვიეს.

ბალშევიკების მოქმედება.

ბალშევიკებმა სცადეს გიორგის აღმოსავლეთით დესანტის გადმოსხმა, მაგრამ იძულებულნი შეიქნენ უკან დაეხიათ. ბალშევიკთა გემები კანტროლს უწევენ ფინის ყურეს. ჰელსინგფორსსა და რიგეს შუა მიმოსვლა შესწყდა.

ლაიციგის საბჭოს გადაწყვეტილება.

გერმანული გაზ. ლოკალ-ანციგერი" იუწყება, რომ ლაიციგის საბჭომ დაადგინა: დაითხოვონ მთავარი შტაბი და დაპატიმრონ ჰინდერბურგი.

ამერიკის ჯარის წინსვლა.

ამერიკის მესამე არმია გინგრძობს გერმანიის ტერიტორიაზე წინ სვლას. ამ ჟამთა მან მიაღწია გლაადტ ვალენბორნ-დაგუნაციერსკუერნენგერკოვის საეროო ხაზს.

მოკავშირეთა საზავო შეთანხმება.

კლემანსო და ფოში ლონდონიდან პარიზში დაბრუნდენ. ზავის პირობების შესახებ სრული შეთანხმება მოხდა საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის შორის.

გოგენცოლერნების წასვლა.

გერმანიამ გოგენცოლერნების გერმანიიდან წასვლის ნება მისცა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქონება არ წაიღონ.

ჩერნოგორიის მეფის ჩამოგდება და სერბიასთან შეერთება.

ჩერნოგორიელებმა მეფე ნოკოლოზი ტახტიდან ჩამოაგდეს და ჩერნოგორია და სერბია შეერთებულათ გამოაცხადეს.

ქალაქის გაგებეზაში.

სახადთან ბრძოლა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ხოლერასთან საბრძოლველათ დროებით მოწვეული სპეციალიზირებული ექიმების თუმცა ხოლერით ავათმყოფობა გათავდა, დატოვებულ იქნენ 1 იანვრამდე სახადის გავრცელების გამო.

ქალაქის მოურავის ამხანაგის ვალდებულება.

ქალაქის მოურავის ამხანაგს გ. გ. კონიევს დასტური მიეცა და მის ვალდებულების აღსრულება დროებით გამგეობის წევრს ს. გ. ფირუმოვს დაევალა.

იაფ-ფასიანი პურის მიცემის მოსპობა.

გუშინ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთ მოესპოთ იაფ-ფასიან პურის მიცემაზედ დამატებით იმ 1/2 გირვანქაზე, რომელსაც იგინი იღებენ თავიანთ ბინებში.

ქალაქის საგზურები:

სამხედრო სტოლი.

ტფილისის სამხედრო სტოლს ამ წლის აპრილის განმავლობაში სულ 79,753 მან. შემოსავალი ჰქონია. ამავე დროს განმავლობაში მარტო ჯამაგირები მოსამსახურეებისთვის დაურიგებიათ 104,000 მანეთამდე. ამის გამო ქალაქის გამგეობამ საჭიროთა სცნო სამხედრო სტოლის სასარგებლოდ ფასები მოუმატოს. ამიერიდან სამხედრო სახლების წვრილები 18 ფუთლეანი 1 მან. 70 კაპ. მაგირად უნდა 3 მან. 20 კაპ. გაიყიდოს 36 ფუთლეანი—6 მან., 200 ფუთლეანი—15 მან. ღვინო სამხედრო ბართში 25 კაპ. მაგირად 40 კაპ. გადიხადონ. სამხედრო სტოლიდან თითო ცნობის მიღების ფასი 10 კაპ. უნდა მაგირად უნდა 40 იყოს.

ნიხრი.

სასურსათო განყოფილების სანიხრო კომისიამ დაადგინა შეშის ნიხრის მოუმატოს და 480 მან. მაგირად დანიშნოს 960 მან. კუბ. საჟ. ფუთობით შეშის ფასი დანიშნულია 5 მ. ბრიკეს ფასსაც მოუმატა ნიხრი და დაწესა 2 მ. 60 კ., გირვანქა ღორის ხორცის ფასი ასწია 3 მან. 50 კაპ.

პასუხისგებაში მიცემა.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა მილიციის მე-11 ნაწილის კომისარი ბ-ნი ბურიოტი სამსახურიდან დათხოვნილ იქნეს და ქალაქის იურისკონსულტს დაევალოს ამ კომისრის ჩადენილ საქმეების შესახებ გამოძიება და სასამართლოში გადაცემა.

რევიზიის შემდეგ.

მეოთხე ეკატ. გიმნაზიის დირექტორმა ბ-მა ხალიშვილმა განათლების მინისტრს წარუდგინა ბ-ნ კალის კერძო სასწავლებელის მის მიერ წარმოებული რევიზიის დასკვნა. ბ-მა განათლების მინისტრმა უბრძანა, რომ ბ-ნ კალის კერძო სასწავლებელი დაიხუროს.

დანიშვნა.

ქალაქის საყასბოს გეითანლ-ეკიმებად ბ-ნ მირიანაშვილის ძ. დერიმანსის ალაგას ქალაქის გამგეობამ ბეითალი-ეკიმეში გაიმეორეთი და ატრენი დანიშნა.

ქალაქის გამგეობის სასანიტარო სატეხნიკო განყოფილების დროებითი გამგეთ ინჟენერი გ. ზ. ჭურდინანი დაინიშნა.

სესხი კოოპერატივებს.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა მიეცეს სესხად ქალაქის სასურსათო თანხიდან 100,000 მან. ტფილისის კოოპერატივებს სხვა და სხვა სანოვაგის დასაშენებლად.

„ტარტოს" შესახებ.

რუსულ დრამატიულ თეატრის „ტარტოს" ამხანაგობის წარმომადგენელმა ა. ა. ტუგანოვმა ქალაქის გამგეობის წინაშე უმომდგომლობა აღძრა დრამატიულ წარმოდგინის ბილეთების ქალაქის სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. გამგეობამ ეს თხოვნა სამიუჯეტო საფინანსო კომისიას გადასცა დასასკვნელად.

ლტოლვილნი.

მე-300 ვერსზე ამ ჟამად შეკრებილია 4,500 ლტოლვილი. სომეხთა ეროვნულმა საბჭომ სასურსათო ნაწილი იკისრა, სამედიკო-სასანიტარო ნაწილი კი—ქალაქის გამგეობამ. ლტოლვილთა შორის სახადით ავადმყოფობა დაიწყო, მაგრამ ჯერ ეს ავადმყოფობა იმ ზომებს არ იღებს, როგორც თვით ტფილისში. ლტოლვილებს სამუშაოდ გამოსცლა არ უნდათ და მთელ დღეს უსაქმურობაში ატარებენ.

უფლების საკითხი.

ქალაქის გამგეობამ განიხილა რა ვ. ე. ზახარსკაიას საჩივარი მე-9 ნაწილის მილიციაზე მის შესახებ, რომ მილიციონერები დასარჩლებიან მის ქმარს ქ-ნ ზახარსკაიას ბინიდან მის ნივთიერობის, როგორც საკუთარის წაღებაში, დაადგინა განმარტება მიეცეს მილიციას, რომ მათ უფლება არა აქვთ მოქალაქეთა საქმეებში ჩარევისა და ამიერიდან ამ გვარ საქმეებში ჩარევიდან უნდა თავი შეიკავონ.

პირობებში გათანასწორება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალთა მასწავლებელთა საზოგადოების სკოლის მასწავლებლებს, რომელნიც ქალაქის გამგეობის ხელში გადმოვიდნენ ჯამაგირი მოემატოთ და იმდენივე მიეცეთ, რამდენიც ეძლევა უმაღლეს პირველ დასაწყისის სასწავლებლების მასწავლებლებს. ამის გარდა კლასის დამრიგებლობისათვის ზედ დამატებით დაენიშნოთ 95 მ. თვეში.

პენსიონერების შესახებ.

ქალაქის გამგეობამ მოისმინა რა გამგეობის წევრის ი. ი. ხურამიფილის მოხსენება ქალაქის პენსიონერების პენსიების მომატების შესახებ სიძვირისა გამო, დაადგინა ეს საკითხი გადაიდოს მე-1919 წლის ბარჯთ-აღრიცხვის პროექტის განხილვამდე, მხოლოდ ეხლა სადღესასწაულოდ ქალაქის პენსიონერებს შემწეობა დაენიშნოს. ეს შემწეობა უნდა მიეცეს იმ პენსიონერებს, რომელთაც ქალაქის საბჭომ პენსია 1917 წლის წინად დაუნიშნა და რომელთაც ეძლევათ ასი მან. ნაკლები პენსია თვეში.

ხიდის შეკეთებისთვის.

მნიკაკაოვის ხიდის (ორთაჭალაში) შესაკეთებლად ქალაქის ინჟენერს მუხაძეს 19,700 მან. კრედიტი გაუხსნა.

სალიკვიდაციოდ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ყოველ შემთხვევაში, როცა შტატის შეეიწროვებისა გამო ქალაქის მოსამსახურეთ სამსახურიდან დათხოვენ, შემოღებულ იქნეს სალიკვიდაციო ფულის მიცემა იმ ნორმებით, რომელიც დადგენილია ცენტრალურ მომრიგებელ კომერის მიერ.

თელავი

29 ნოემბერს თელავის ქალაქის საბჭომ მეტად საყურადღებო საქმე განიხილა სახელდობრ ეკლი რუსთველისა. ეს სხდომა განსაკუთრებით ამ საკითხისთვის იყო დანიშნული და ხმოსნების გარდა დაესწრნენ ოგრეთვე ყველა თელავში მყოფი ეკლიები.

როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ეკლი რუსთველის ამ რაიდენიმე ხნის წინად გაუხსნია თელავში სადოსტაქრო (ქირურგიული), რომელიც საერთო საავადმყოფოდ გადუქცევია და ისე ავადმყოფებსაც იღებდა თორმე წოლით. ამ საავადმყოფოს ნებართვა მას არა თუ არ ჰქონია, არამედ ქალაქის გამგეობის შეკითხვებზედაც თავის დროზე არ უპასუხნია. ამას გარდა ბ-ნ რუსთველის წამლებისათვის ეგზავნია ავადმყოფნი ცისკარაშვილის აფთიაქის მაღაზიაში, სადაც უმჯობესია წამლები, როგორც ნებაც არა ჰქონიათ.

ყველა ამისთვის ყურადღება მიუქცევია ქალაქის გამგეობის გარდა, კახეთის ეკლისთვის გამგეობასაც, გამოუძიებია საქმე და ოქმები გადაუცია თელავის თვითმმართველობისათვის. ეს საკითხი წინადაც იყო დასმული, მაგრამ საბჭომ სამჯობინოდ სცნო ცალკე კრება დაენიშნა და თვით ეკ. რუსთველსაც დაჰკითხებოდა.

29 ნოემბრის საბჭოს სხდომაზე დიდი ხნის სჯა-ბაასის შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომლითაც შეჩერებულ უნდა იქმნას ეკ. რუსთველის საავადმყოფოს მოქმედება, ვიდრე იგი კანონიერ მოთხოვნილებებს შეასრულებდეს, ნებართვას აიღებდეს.

— 29 ნოემბერს ჩამოვიდა ერობის გამგეობის თაემჯდომარე ლ. ვასვასიშვილი, რომელიც ერობის სამქმეზე იყო ტფილისში წასული.

— ქალაქის საბჭომ დაადგინა საზოგადო ბიბლიოთეკა მიიღოს თავის განკარგულებაში და ქალაქის ხარჯით შეინახოს.

— ქალაქში ისპანიურმა ავადმყოფობამ შეაშინებინა ისე ის მასსიური მწყრივ ხალხიათ დაჭკარა, რომელიც ამას წინად ჰქონდა. სამგიერთო გაჩნდა სახადი.

— თელავის მაზრაში სამხედრო წესების და გენ. გუბერნატორის განკარგულების შემდეგ, გაქრეთნი ჯარის-კაცები (დეზერტირები) თავის ნებით მრავლად ცხადდებიან ყოველ დღე მაზრის სამხედრო უფროსთან.

— მიუხედავად იმისა, რომ მეგრ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში უკვე მოხდა საქმის წარმოებას გაეროვნება თელავის ქალაქის გამგეობა ისევ უცხო ენაზე გაგზავნობს, მაშინ როცა ქალაქის საბჭო თავის არჩევის პირველ დღიდანვე ქართულად აწარმოებს საქმეს.

ეს საკითხი განსახილველად დაისვა ქალაქის საბჭოში ერთ ხმისნის განცხადების და პროტესტის შემდეგ და იმის მაგიერად, რომ უკიმათოდ მიეღოთ, გამგეობა ამტკიცებდა თანდათანობით შემოვიღებთო.

ქუთაისი

○ ხშირად სასწავლებელთა გამგენი და მასწავლებელნი გვერდს უხვევენ მახლობელ უფროსებს და პირდაპირ სამინისტროში გზავნან ისეთ თხოვნებს და მოხსენებებს, რომელთა გადაჭრა და პასუხი სახალხო სკოლათა ინსპექტორების კომპეტენციას შეადგენს. სამინისტრო გარდა იმისა, რომ ბევრ დროს კარგავს ამ თხოვნა-მოხსენებათა განხილვაში უმეტეს შემთხვევებში იძულებულია ცნობები და ბაკვნილათაც სათანადო ინსპექტორებს გადაუგზავნოს მიღებული ქაღალდები. ამით საქმე ოვეის დროზე ვერ სწყდება და მთხოვნელსაც პასუხი უგვიანდება. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლათ უნდა სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული უკვე არსებული საზოგადო წესი: მოხელე მიმართავს მახლობელ უფროსს, რომელიც ან თვითონ გადაწყვეტს თხოვნაში აღძრულ საკითხს ან, უკეთუ ეს მის უფლებას აღემატება, საჭირო ცნობებით გადაუგზავნის მთავარ გამგეს, თუ მასწავლებელს სურს თხოვნა სამინისტროში გამოგზავნოს ან შემთხვევაშიც უნდა რაიონის ინსპექტორის საშუალებით იმოქმედოს. მხოლოდ სასწრაფო სამინისტროს მიმართონ.

○ შორაპნის სამაზრო საადგილ-მამულო გამგეობა ნიშნავს სამაზრო თათბირს 7 დეკემბერს 1918 წ. (ახ. სტ.) ქ. ყვირილაში დილის 10 ს. თათბირს უნდა დაესწრონ: ცენტრალური საადგილ-მამულო გამგეობის წარმომადგენელი, სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტის წევრები, სამაზრო ერობის ხმოსნები, შორაპნის მაზრის მიმდები კომისიების წარმომადგენლები, ყოველ სამაგიდოებიდან სამსამი წარმომადგენელი. საზოგადოების წარმომადგენლებს ირჩევენ აღმასრულებელი კომიტეტი და სოფლის საადგილ-მამულო კომისიები.

თათბირზე მსჯელობა იქნება რესპუბლიკის საადგილ-მამულო ფონდში გადასულ მიწების მონაწილეობის მომპარების შესახებ.

○ პროფ. კავშირების ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა სამართლიანათ სცნო მიმწოდებელ კომიტეტის მოსამსახურეების მოთხოვნილება და მის დასაკვაყად ჯერ-ჯერობით მიიღო შემდეგი ზომები: დაეშვით მიმართა ცენტრალურ მიწოდებელ კომიტეტს, რომ ქუთაისის ეპიფოფილების მოსამსახურეების გაფიცვა მოხსნა, მათი მოთხოვნილება სამართლიანია, ამიტომ გთხოვთ სიჩქარით დაავალოთ თქვენს წარმომადგენელ მესხს, რომ პროფ. კავშ. ცენტრალურ საბჭოსთან ერთად მოაგვაროს ეს საქმე.

○ თანამად ანონიის მამულების ჩამბარებელ კომისიის თხოვნისა გაემგზავრა ოკაიმერში, ანანოის მამულში, შორაპნის კომისარი ვ. ურუშაძე რათა ქარხნების ჩაბარების გამო გამოკვეული იქნას მუშების მდგომარეობა.

○ ცენტრალური სასურსათო საბჭოს რწმუნებული ზოფერაი სთხოვს ჯუბერნიის კომისარს, რათა სანქციოთ მოახდინოს განკარგულება მაზრის კომისარების მიმართ, რომ ფონდში გადასული მამულების მოიჯარადრეებიდან იქნას გამზადებული და მოტანილი ხეივრი 1/10 ღალის. ამის შესახებ უკვე მოახდინა განკარგულება ვუბ. კომისარმა.

○ სოფ. სალხინოს საფერშლო პუნქტის უფროს ფერშლათ დაინიშნა გრიგოლ ცანავა.

ქრონიკა

○ დეკემბრის 5-ს სალაპის წილკანის ქუჩაზე კუდრიავცევის მაღაზიაში შევიდა ოთხმოდენიმე შეიარაღებული პირი და გაიტაცეს 2700 მანეთი.

○ სასოფლო კომისია წინადადებას აძლევს ყველა პრომპაგანდისტებს, რომელნიც მუშაობენ მაზრებში, რაიონებში და სოფლებში მიიღონ აქტიური მონაწილეობა 12 დეკემბრის სახალხო გვარდიის დღის მოწყობაში.

○ სომეხ ლტოლვილთა კომიტეტის განყოფილება სთხოვს არარატის რესპუბლიკის მოსავრობას დახმარება აღმოუჩინონ 80000 ლტოლვილს ჩრდილოეთ-კავკასიაში დასაბრუნებლათ.

○ სახალხო გვარდიის დღეს ამა წლის 12 დეკემბერს პარლამენტის შენობის წინ გაიმართება დიდი სახალხო კონცერტი ტფილისის შეერთებული სამხედრო ორკესტრებისა კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულმა რაზმმა 3 დეკემბერს აღმოაჩინა სახელმწიფო ნივთები—ტანსაცმელი მოპარული ცალკე ცხენოსანთა ასეულის სახაზინო საწყობიდან ღირებული 20 ათას მანეთად.

○ კვირას, 8 დეკემბერს დღის 12 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის (უპარტიოთა) საზოგადო კრება.

○ დღეს, 7 დეკემბერს ზუბალაშვილის სახლ. ქალ. სახლ. არს. ქართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ა. ყაზეგის დრ. „არსენა". ბილეთების ფასი სახალხოა.

○ ხვალ დილის 11 საათზე, შრომის ბირჟაში (მაღათოვის ქუჩა № 11) დანიშნულია კრება, მეშვიდა სექციის ბირჟის პარიტეტული კომიტეტისა, აგრეთვე პროფესიონალური კავშირების თავჯდომარეების და მდივნებისა. გარჩეული იქნება შემდეგი კითხვები: 1) ამოცანა შრომის ბირჟის და გზები მის ამოსახსნელად. 2) პროფესიონალური კავშირების დამოკიდებულება შრომის ბირჟასთან. 3) შრომის ბირჟის მოქმედება მის დაარსების დიდან. 4) ორგანიზაცია მუშების სტატისტიკისა. 5) გამოცემა ბირჟის წლიური ანგარიშისა. ვინაიდან საკითხები მეტად მწვავე და სერიოზულია ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

○ კვირას, დეკემბრის 8-ს, დანიშნულია თამარ-მეფის სახელობის ქალთა სოსტატო სემინარიის მოწაფეთა შობილების საერთო კრება. კრება დანიშნულია დილის 10 საათზე სემინარიის შენობაში(ახალ-ბაჟოთოვის ქ. № 6).

○ შაბათს, 14 დეკემბერს, მ. კავსაძის მომლოცავთა გუნდი ქართულ კლუბის დარბაზში მართავს საშს განყოფილებად ლექცია-კონცერტს: 1) ლექცია „სახალხო მუსიკა და ჩვენი მუსიკალური კულტურული საზოგადოებანი", 2) სახალხო სიმღერები გადაღებული ძველ ქართველ მუსიკოსების მიერ 3 ხმაზედ, 3) ფილიანდიური, შეიდური და ჩიხური კილოები გადაღებული ი. რატიევის მიერ 4 ხმაზედ. გუნდი შესდგება 40 კაცისაგან და მონაწილეობენ ძმ. კავსაძენი, ეას. ცაღურაშვილი, ქ. ინასარიძე, ა. შანშიაშვილი და სხვანი. გუნდი სხვათა შორის შეასრულებს „თამარ ქალო"-ს.

○ გურიიდან გვატყობინებენ, რომ იქ ნამდვილი გლეხის ზარია გამეფებული ახალ ავათმყოფობა „ისპანკის". გამო. ოჯახი არ არის, რომ ავადმყოფები არ იყვნენ.

○ დღეს ქართულ კლუბში ეკრ. „თეატრი და ცხოვრების" სასარგებლოდ გაიმართება ფრიად საყურადღებო სალიტერატურო-სამუსიკო-საცეკვაო საღამო. საღამოში მონაწილეობენ სხვათა შორის: მგოსანი გალ. ტაბიძე—სიტყვა „პოეზიის გამართლება" (1. „Teara artistica„ 2. სპარსელ პოეტის მშუხარება, 3. მე-XII საუკუნის ხელნაწერი, 4. სხვისი ლანდი,—ქართული პოეზიის ტრაგედია, 5. დასაწყისი ჩვენი გამართლებისა), ცნობილ მეპიანური ალ. ობანეშვილი (პიანისტი), სახელმოხვეჭილი მგოსნები, მოცეკვავენი, მომღერალნი, მუშა-მწერლები და სხ. საღამოს დასაწყისი 7 საათ. ბილეთები იყიდება ქართულ კლუბის კასაში.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

განცხადებები

ქირმი ე. კ. აგაკერლა
შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სისუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოკლნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-შლექისა სისხლწნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაგიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ქლენისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; განსწავა და წამლობა X-ს სხივებით დიდი საღებოიდი და არსენალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 624. 18—17.

დრამატიული საზოგადოების
გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 15 დეკემბერს დანიშნული საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—2

საუკეთესო მატერიის

შავი, ბორდო და სხვა და სხვა ფერების იყიდება. მისამართი: მაღაზია „კონკურენცია" ოლღას ქუჩა № 3. 1125 2—1

კავკასიის ბანკის გამგეობა იუწყება, რომ 1916 წ. ოქტომბრის 8 მის მიერ მიცემული 1.0000 მან. ბილეთი № 47808 აკოფ არუთინის ძე ვართანოვზე—დაკარგულია. თუ ერთი წლის განმავლობაში უკანასკნელი განცხადებიდან, ეს ბილეთი არავინ წარმოადგინა ბანკში, ის გაუქმებულად ჩაითვლება. 1077 3—3

ამერიკის ქვეშერდომი, ხოსროვ გე-ხაჩატურიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 17755 მიცემული ვაშინგტონში. 1117 3—1

ალექსანდრე ივანეს ძე ჩეკურაშვილი აცხადებს დროებითი მოწმობის დაკარგვას, რომელიც ჰქონდა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 17 იანვარს 1918 წ. № 86657, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს 1127 3—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მართველობა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ტფილისის ცენტრალ საწყობში „18" დეკემბრის 1918 წ. დილის 10 საათზე გაიყიდება: ბორჯომიდან ტფილისში მიღებული № 51485 კასრები (ბოშკები) წონით 45 ფ. გამომგზავნი რაზმაძე, მიმღები იგივე 1113 1—1

აუქციონი

ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა მოხდება 1918 წ. დეკემბრის 15, ლომბარდის შენობაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, № 8, საკუთ. სახლი) გაიყიდება ვადა გასული გირაოები: ძვირფასი ქვები, ლითონის და სხ. საგნები, ტყავეულობა შემდეგი №№ 57721, 64303, 67801, 69797, 69798, 69870, 70588, 70789, 71455, 71476, 71685, 71612, 72358, 72446, 73249, 74204, 74205, 74206, 74272, 74525, 74567, 74587, 74613, 74631, 74645, 74705, 74750, 74792, 74867, 74876, 74922, 74933, 74937, 74991, 75013, 75015, 75039, 75142, 75144, 75164, 75178. 1126 1—1

ამით ვაცხადებ, რომ ვექილობა, რომელიც მიკემული მქონდა ჩემი და ჩემი ძმის სამხონ დიმიტრის ძე რუხაძის სახელით ალექსანდრე ივანეს ძე კოზმაკაზე ბათუმის ნოტარიუსის პრუსკის კანტორაში 1917 წ. 16 თებერვლის № 852 რეესტრით, ჩამორთმეულია და გაუქმებული. 1090 3—3

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს რომ 1918 წ. აგვისტოს 5 მის მიერ დამტკიცებულია, გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, გირავნობის მოწმობა, რომლითაც მიხეილ ლეკის ძე ფრანკფურტმა 8000 მან. დაუგირავა მარიამ ნიკოლოზის ასულს ობოლონკინას მამული ქ. გუდაუთაში, ზომით 340 ოთხკ. საჟ. ამის გამო ამ მამულზე დადებულია ყადაღა აღნიშნულ 1918 წ. ყად. კრებ. № 14. 349. 3—3.

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 13 სოხუმის ოლქის სიმტკიცის სექციით სოხუმის მე-48 ნაწ. მე-200 №-ით 12 აგვისტოს აღნიშნულით, ამა წლის მარტის 9 გუდაუთის ნოტარიუსთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ნესტორ კუპუას ძე ბარძიმიშვილს დაუმტკიცდა მიწის ნაკერი. ქ. გუდაუთაში № 2, ზომით 250 ოთხკ. საჟ. და ღირებული 187 მ. 50 კ. 381. 3—3

ალექსანდრე ივანეს ძე გლადილინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის ხელწერილები, რომ მას ერიცხება იქ %% ქაღალდები: № 51688—3500 მან., № 52690—2.500 მ., № 51689—1.500 მ. ანგარიში 907, რომ მას ერიცხება № 2395—5.000 მან. იმავე კანტორის შემნახველი ჯასის წიგნაკი № 34563 და მასთან ანგარიშის წიგნაკი № 9682. ეს საბუთები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1122 3—2

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. ივლისის 27 აღნიშნულით, ამა წლის ივლისის 18 ქიათურის ნოტარიუს ახულაძესთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, № 39, რომლითაც ღლია პაველს ძე კაკაბაძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთნოდა ნესტორ და ალექსანდრე სიმონის ძეთ და თამარგიორგის ასულს ვაშაძეს. მამული მდებარეობს ქალაქ ქიათურაში და შეიცავს სადუქნე ადგილს „გეგერდის ადგილი" ზომით 63 და 50/100 ოთხკ. საჟ. ფასი 310 მან. სიმტკიცის გადასახადი 12 მ. 40 კ. საღერბო ქაღალდზე ამონაწერი 2 მან. 774 1—1

ქ. ტფილისის მეორე მომრიგებელ განყოფილების მოსამართლე იწვევს 1918 წ. ნოემბრის 2 გარდაცვლილების ბარბარე ნიკოლოზის ასულის გიგოლაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გიგოლაშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნაწ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1115 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 5 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხის მე 48 ნაწ. 1996 №-ით, მე-100 გვ. აღნიშნულია 1917 წ. ოქტომბრის 5 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ათანას ივანეს ძე წერეს დაუმტკიცდა ქ. გუდაუთიდან მიწის ნაკერი № 2, ზომით 280 ოთხკ. საჟ. ღირებული 70 მან. 375 3—1

ქალაქ ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ილია იოსების-ძე სატლის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სატლის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 1115 1—1

მთავარი სამაჟო ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ცხრა დეკემბერს, ორშაბათს, დილის ათ საათზე, სამაჟოსთან დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, გაიყიდება რკინეულობა და სხვა და სხვა საქონლები. 1128 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ივლისის 1 ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-58 №-ით აღნიშნულია, ამა წლის ივლისის 1-ს ფოთის ნოტარიუს ვესტვალოკისთან შედგენილი, სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც გიორგი ალექსანდრეს-ძე სამხატრაშვილმა და დიმიტრი დავითისძე აფხაზავამ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინეს უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა კირილე პორფირის ძე ხავთასის, მამული მდებარეობს ქ. ფოთში მე-7 უბ. და შეიცავს მიწის ნაკვის № 28 ნაწილს, ზომით 287 ოთხკ. საჟ. ფასი 75 მან. სიმტკიცის გადასახადი 78 მან. ამონაწერი საღერბო ქაღალდზე 10 მან. 774 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 21 ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-24 №-ით აღნიშნულია ქუთაისის ნოტარიუს კოკოზეთან შედგენილი, სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც სამსონ ეგნატესძე ურუშაძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთნოდა კონდრატ შავარდნის ძე (ოგივე ივანესძე) შავიშვილს. მამული მდებარეობს ქ. ოზურგეთში და შეიცავს სადუქნე ადგილს შენობებით 1/4, ზომით 30 ოთხკ. საჟ. ფასი 295 მან. სიმტკიცის გადასახადი 11 მან. 80 კ. მთავარი ამონაწერი საღერბო ქაღალდზე 1 მან. 80 კაპ. 1087 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლო ამით აცხადებს, რომ ტფილისის სასამართლოს პალატის უფროსი თავმჯდომარის დადგენილებით 22 ნოემბრიდან 1918 წ. № 77 ყოფილი ოჩეჩირე ნოტარიუსი თეოფილე ხუსკივაძე დანიშნულია ქ. ქუთაისის ნოტარიუსათ. 1102 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 21 ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-25 №-ით აღნიშნულია, ამა წლის აგვისტოს 20 ქუთაისის ნოტარიუს კოკორეთან შედგენილი, სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც სამსონ ეგნატეს ძე ურუშაძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა დომენტი შავარდენის ძე შავიშვილს. მამული მდებარეობს ქ. ოზურგეთში და შეიცავს სადუქნე ადგილს 1/4, ზომით 30 ოთხკ. საჟ. ფასი 150 მან. სიმტკიცის გადასახადი 8. მ. 10 კაპ, მთავარი ამონაწერი საღერბო ქაღალდზე 1 მან. 50 კაპ. 1086 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. აგვისტოს 20 აღნიშნულია, 191 წ. ივლისის 30 ქუთაისის ნოტარიუს მოსიძის მიერ შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც გაბრიელ მიხეილის ძე არჯევნიძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა მარიამ ალექსანდრეს ასულს ტოფუელურს. მამული მდებარეობს ქ. ქუთაისში, ვოჯნლის ქუჩაზე და შეიცავს მიწის ორ ნაკერს ზომით პირველი—438 ოთხკ. საჟ., მეორე—749 ოთხკ. საჟ. ღირს 62200 მ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 2488 მ. მთავარი ამონაწერი 311 მან. ღირებულობის საღერბო ქაღალდზე მიცემულია. 1083. 1-1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. აგვისტოს 2 აღნიშნულია, ფოთის ნოტარიუს ვესტვალოკის მიერ ამა წლის ივლისის 2-№ 54 შედგენილი სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც ივლიანე გოორგის ძე მიქელაძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნოდა სევერიანე გაორგის ძე მიქელაძეს. მამული მდებარეობს ქ. ფოთში 85 უბ. და შეიცავს მიწის ნაკერს შენობებით, ზომით 460 ოთხკ. საჟ. ფასი 200 მ. ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადი 6 მან. ამონაწერი საღერბო ქაღალდზე 50 კაპ. 1—1 775.

ვლადიმერ ისიდორეს ძე ავსიუკევიჩი აცხადებს, რომ მან სად. ჯჯი-ქაბულზე დაჰკარგა დოკუმენტები: ატესტატი ტფილისის მეორე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრებისა და მეტრიკა. 1111 3—1

ქალაქ ქუთაისის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა სტეფანე პეტრეს ძე ფირალოვის მიერ მიცემული ნატალია სტეფანეს ასული ფირალოვის, რომელიც არის დამტკიცებული ქუთაისის ნოტარიუს ანჯაფარიძის მიერ 24 ივნისს 1917 წ. რეესტრის 3903 ნომრით, 29 ამა ნოემბრის დადგენილებით გაუქმებულია 1114 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. ივლისის 27 აღნიშნულია, ამა წლის 13 აპრილს ქუთაისის ნოტარიუს მოსიძესთან შედგენილი სიმტკიცის მოწმობა № 21, რომლითაც ივლიანე გიორგის ძე დარახველიძემ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთნოდა ავგუსტე ლიუდვიგის ძე შრედერს. მამული მდებარეობს ქ. ქუთაისში და შეიცავს ეზოს შენობებით, ზომით 225 ოთხკ. საჭ. ფასი 8000 მ. სიმტკიცის გადასახადი 320 მან. ამონაწერი საღერბო ქაღალდზე 40 მან. 780 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 5 სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუსხის მე-48 ნაწ. მე-1995 5 №-ით 79 გვ. აღნიშნულია ამა წლის ივლისის 10 გუდაუთის ნოტარიუს მგალობლიშვილთან შედგენილი, სიმტკიცის მოწმობა, რომლითაც სოფიო ივანეს ასულს იმშენიკ-კონდრატევიჩს დაუმტკიცდა მიწის ნაკერი № 5 და 6, ზომით 480 ოთხკ. საჟ. ღირებული 240 მან. 378 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალურ არხივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1918 წ. ივლისის 29 აღნიშნულია, ქუთაისის ნოტარიუს ანჯაფარიძის მიერ ამა წლის ივლისის 16 შედგენილი სიმტკიცის სიგელი № 28, რომლითაც გიორგი იოსების ძე რევიამ საჯარო ვაჭრობაზე შეიძინა უძრავი ქონება, რომელიც ეკუთნოდა თებრონე სოფრომის ასულ კულენტს. მამული მდებარეს ქ. ქუთაისში, გეგუთის ქუჩაზე და შეიცავს მიწის ნაკერს შენობებით, ზომით 84 ოთხკ. საჭ. ფასი 986 მ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 39 მ. 44 კ. მთავარი ამონაწერი საღერბო ქაღალდზე 5 მან. 778 1-1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა

სასურსათო კომიტეტი 1918 წ. დეკემბრის 14-ს 12-საათზე ნიშნავს კონკურენციას 1919 წლის განმავლობაში შემდეგ სადგურებზე ბუფეტების იჯარით გაცემაზე.

რიონი, ხაშური და სანაინი—ბუფეტები ცხელი საქმლით და პალატებით, მცხეთა, ყარიაღში და სანდარი—ბუფეტები ცივი საქმლით და პალატებით. ქუთაისი და ბორჯომი—ბუფეტები ცხელი საქმლით. ლანჩხუთი, ყვირილა და ბორჯომს პარკი—ბუფეტები ცივი საქმლით. ჯუმათი საკვებავთ და ქსნაკა—სავაჭრო პალატები.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დახურულ კონვერტებში; განცხადებას თან უნდა ახლდეს კვიტანციები წინასწარ წინასწარ საწინდრისა. ცხელი საქმლით ბუფეტისთვის 250 მან. პალატისთვის 50 მან. მაგარი სასმელების გაყიდვის ნება არ იქნება მითითებული. დაწერილებით ცნობების მიღება შეიძლება სასურსათო კომიტეტში, ელისაბედის ქუჩა, № 200, დილის 10 საათიდან. 1085 3—3

ტფილისის ვაჭართა ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის აქციონერთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრების 1917 წ. დეკემბრის 17 დადგენილების თანხმობად და ფინანსთა მინისტრის ნებადართვით, ბანკი ადიდებს თავის თანხას **10.000.000 მანეთიდან 20.000.000 მანეთამდე.** ახალი აქციების გამოცემის საშუალებით: 40.000 აქცია თითო 250 მან. სულ 10.000.000 მან. დადგენილების გამოცემის საშუალებით: 40.000 აქცია თითო 250 მან. სულ 10.000.000 მან. დადგენილება ორათ გამოიცემა: ნახევარი—20.000 აქცია გამოიცემა ერთბაშად ფასით. ახალი აქციების